სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2025 წლის 9 ივლისი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №25 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04/06/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016292) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში

ა) შეიმუშავებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე მიმართულ სპეციალური პროგრამებისა და ღონისძიებების პროექტებს;

ბ) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისკენ, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისაკენ მიმართულ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ჩართვის შესახებ შეიმუშავებს წინადადებებს;

გ) ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტებზე ექსპერტიზას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) ამზადებს წინადადებებს საკრებულოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების შესახებ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხების უზრუნველყოფის მიზნით;

ე) საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის პროცესში „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელების მიზნით ასრულებს სხვა ქმედებებს;

ვ) ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის სხვა დავალებებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ვაჟა სტურუა**
მოვალეობის შემსრულებელი